

1959

ახმეტის, თელავის, თეთრიწყაროს რაიონებში და
ხაზრეთ ოხეთის ავტონომიურ ოლქში გახულ წელს ადგილი
ქონდა ტყის მოსპობისა და უკანონო გაჩეხვის შეუწყნარებელ
ფაქტებს.

ქართული
ბიბლიოთეკა




ნახ. ნ. მალაშვილისი

№ 13 თბილისი ივლისი 1959

საბჭო

აპოლონის XXXVII წელი ფასი 2 ჰაპ

— ფილა, იმ რაღაც ელექტრონების თუ ვიშოვეთ და ხელი
არაღინ შევიღებოთ წილს ერთი ხელს არ დავიარნიბა მსოპრიდო.



რას გინახავთ 31 მარტს

ყურადღება, ყურადღება!

ლაპარაკობს «ნიანგის» რადიოსატელევიზიო კვანძი! განვარძობთ გადაცემას საზოგადოებრივი წესრიგის ნებისმიერი ასაკისა და სქესის დამრღვევთა შესახებ. დღეს ჩვენი მიკროფონი დგას ქალაქ თბილისში ტელმანის ქუჩაზე, სადაც ტროლეიბუსების სამმართველოს თანამშრომელთაგან შემდგარი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმელები ავთანდილ ხეთაგური, ნოდარ კარანაძე, გიორგი როსტომაშვილი ვიქტორ ზაზიევი, ზაურ ლავოევი, აფრასიონ რაქამაშვილი და სხვები წესრიგის დამრღვევებთან ჭიდილში ჩაბმულან.

ერთვით ტელეაპარატურას. აი, ის ჭაბუკი, ბარბაცით რომ მიდის, კომკავშირელი ოთარ მაჯიდის-ძე ბაბაევი, უკან ქომაგად მიჰყვება ანზორ ნოეს-ძე დოლიძე. მათ წინ ხელში თაიგულით მშვიდად მიაბიჯებს ქალიშვილი. თქვენ ახლა ხედავთ, თუ როგორ ირღვევა ქალიშვილის სიმშვიდე.

ოთარი: (ეტმანება ქალიშვილს) ერთი ამ ბუკეთს უსუნოთ, არ შაიძლება? (ქალიშვილი შეჰკივლებს) ვაჰ, რა გაყვირებს, სულოჯან? ბუკეთს ბუკეთი მიგაქვს, თუ არ შაიძლება, რომ უსუნოთ, გაკოცებ!..



ვიდრე ოთარ ბაბაევი ქალიშვილს საკოცნელად მისწვდებოდა, მას რაზმელთა ხელი სწვდა და შეაჩერა. კადრში ბაბაევის ქომაგი ანზორ დოლიძე ჩნდება, იგი რაზმელებს უტყვის:

— ვა, თქვენ რა, ობეხევის ხართ? ამ ბიჭს ხელი უშვით, თორემ!..

რაზმელები ანზორსაც ხელს ჩასჭიდებენ და ორივე რაინდი გამოსაფხიზლებლად მიჰყავთ. ქალიშვილის სიმშვიდე აღდგენილია. მაგრამ ახლა ტელმანის ქუჩის სხვა კუთხეში

ირღვევა სიმშვიდე. სტადიონის ერთ ერთ სალაროსთან თქვენ ხედავთ უსაქმურთა ბრბოს, გესმით ყვირილი, კივილი, გინება! ერთი სიტყვით, სიტუაცია კომედიურია. რაზმელები ბრბოს «წვევრებს» თხოვენ—დაწყნარდნენ. ეს იწვევს შეცხადებას, ისტერიას, კივილს, ერთი სიტყვით, სიტუაცია უკვე ტრაგიკულია: ხაჩატურ ნაზარას-ძე ვართანოვი ყვირის, ვლადიმერ ბაგრატიის-ძე აილინიანი კივის, დევი ჰაიკის-ძე არუთინოვი იგინება. მალე ბრბოს დანარჩენ წვევრთა ბაგეთაგანაც იფრქვევა მარგალიტები და.. რაზმის წვევრებს სამივე «ამრევი» შტაბში მიჰყავთ დაფანტული მარგალიტების ასაკრეფად. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება; ტრაგედიას აძლიერებს ანზორ ვალერიანის-ძე მესხისა და გურამ ისაკის-ძე სიმონიშვილის ღრიალი. ისინი გამეტებით სცემენ მუშტებს დაძრული ტროლეიბუსის დახურულ კარს, წიხლსაც ზედ ურთავენ და, როცა კარი მაინც არ იღება, ამას მოჰყვება ანზორისა და გურამის შეძახილი: გააღე, რაღა, შენი...

ამ ორივე ჯგუფის მოქმედებას გამვლენი ხულიგნობას უწოდებენ, თვითონ მონაწილენი — გმირობას, ამიტომ «გმირებს» ერთად გადაუღეს სურათი.

ახლა კი ჩვენი აპარატურა გადაგვაქვს უშუალოდ ტროლეიბუსში.

თქვენ ხედავთ არშაკ ოვანეზის-ძე ავაჯანიანს. იგი გულდაგულ აბოლებდა ტროლეიბუსში და, როცა უკანა ბაქნიდან ჩამოვიდა, არშაკს პაპიროსი თითებშუა, პირი კი ღიად დარჩა, რადგან რაზმის წვევრები ზედ კართან დაუხვდნენ. არშაკი გაჯიუტდა და მილიციელის დახმარებით მილიციაში აღმოჩნდა.

სხვა ტროლეიბუსში თქვენ სხვა მდგომარეობას ხედავთ: გურამ მიხეილის-ძე ლეკვეიშვილი «პრინციპიალურად» არ იძენს ბილეთს. ვიდრე საქმეში რაზმის წვევრები ჩაერეოდნენ, გურამი ასწრებს ორიოდე უწმაწური სიტყვის წამოსროლას კონდუქტორის მისამართით. გურამს არ ეტყობა, ორი აბაზი რომ არ ჰქონდეს. მაშ რა მიზეზია, ბილეთს რომ არ იძენს?

— ძვირფასო მაყურებლებო (თქვენ ახლა გესმით რაზმის უფროსის ავთანდილ ხეთაგურის ხმა), ჩვენ კარგად ვიცით ამის მიზეზი. ეს დაწვრილმანებული, დაკნინებული სულის მქონე ადამიანის უპრეცედენტო სიჯიუტება. ზოგიერთი მგზავრი ორი აბაზის გადახდას კონდუქტორთან კამათისა და აურზაურის ატეხვას არჩევს. აბა რომელიმე «უბილეთომ» მოახერხოს და ორშაურიანი ასანთი უფასოდ შეიძინოს! რაზმის 19 წევრი ლამის დავიქანცოთ «უბილეთობთან» ბრძოლაში.

— გისურვებთ ბრძოლაში გამარჯვებასა და რაზმის გაძლიერებას, პატივცემულო ავთანდილ!

— რაზმი დღითიდღე ძლიერდება. ისეთი წვევრები შემოგვემატნენ, ადრე რომ მეგობრება ხუმრობით ამრევებს ეძახდნენ. ახლა ეს «ამრევები» ჩვენი რაზმის ყველაზე საიმედო წვევრები არიან.

— კვლავ გისურვებთ ისე გემუშაოთ, რომ თქვენს რაზმსაც სამუშაო გამოლოდეს და, რასაც ზოგჯერ ტროლეიბუსში ვხედავთ, აღარ გვენახოს.

— გამაღობთ!

— არაფერს!

ამით ვამთავრებთ ჩვენს დღევანდელ გადაცემას.

მოზავალ შეხვედრამდე!

დიქტორის ტექსტს კითხულობდა






კ. მთავარი
გ. მთავარი

თავდაპირველად სალამსა და მოკითხვას გიგზავნი, პატივცემულო რაფაელ! ამ ბოლო დროს ტელევიზორების მოარულმა ავადმყოფობამ იძულებული გამხადა თქვენი ამქვეყნიური ყოფნა გამეხსენებინა და ორიოდ სიტყვით მომეგონებინა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ბუნებამ თუ თანამდებობამ თქვენ დაგაკისრა.

ქეშმარიტად საჭირო და სასახელო საქმეს ემსახურებით, პატივცემულო რა



ფაელ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეგაქვთ ის დიდი გამოცდილება და ცოდნა, რომელიც ესოდენ საჭიროა თბილისში და მის ახლომახლო რაიონებში გაოჩნებული ტელევიზორების მოვლა - გამოჯანმრთელებსათვის. სწორედ თქვენი ატელიეს კარებიდან ყოველდღიურად მიემართებთან ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით ჩემოდანმომარჯვებული ოსტატები, არის კირკიტი და ანტენების ტრიალი, დაყენება და გადაყენება... ყოჩაღ, ჩემო რაფაელ, ყოჩაღ! სწორედ რომ ქების ღირსი ხართ... მივა ზოგიერთი თქვენი ოსტატი ტელემფლობელთან, ჩაუკირკიტებს ტელევიზორს, გაასწორებს, გამოასწორებს, ხელს დაიბანს, ჯიბეში „ძალით“ ჩადებულ ფულს არ დაინახავს და გასწევს ახლა სხვა მიმართულებით. მაგრამ გავა ერთი ან ორი დღე და შეკეთებულ ტელევიზორს გაუჩნდება ისევ დამბლა, თავბრუსხმა, ხველა, თვალთა პარპალი და ყველა ის ავადმყოფობანი, რომლის გამოსაჯანსაღებლად ისევ ტელეფონის რეკავა საჭირო, ანდა ვარაზის ქუჩაზე სირბილი; ალბათ

ამავე მიზეზის ბრალია, რომ ჩემს მეზობლად ვარაზის აღმართზე ხენეშითა და ოხვრით ამავალი მანქანების უკანა სკამი უმეტესად დასნეულებული ტელევიზორებით არის გამოტენილი და თქვენს ატელიეში ყოველდღიურად ისმის ხენეშისა და ოხვრის ხმა...

— აქ მოასვენეთ... ჰო... ჰო... კარგია... დაუშვი... დაუშვი... ნელა... ნელა... უპ... უპ! — რა თქმა უნდა, შუბლზე ოფლის მოწმენდაც დაემატა და გაფორმება ხომ აუცილებელია. შემდეგ ისევ ხენეშით სახლში წაღება და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ უკან ამობრუნება ან რეკავა.

ერთი წუთითაც არ იფიქრო, ძმაო რაფაელ, რომ ზოგიერთი თქვენი ოსტატის ცუდი მუშაობით ტანჯული ტელევიზორების მფლობელების ჩემი მისამართით გამოგზავნილი წერილები ერთეულებით განისაზღვრებოდეს, არა და არა... წერძლების უმრავლესობა ისეთი გულისამაჩუყებელი შინაარსითა და წუხილით არის აკრელებული, რომ მათ წაკითხვაზე ჩემდა უნებურად გული მიჩუყდება და ცრემლები ჩამომდის. ან როგორ არ უნდა ამიჩუყდეს გული მოქალაქე მარგო წითელაშვილის განცხადებაზე.

„1957 წელს შევიძინე ტელევიზორი „ზნამია“. დღიდან შეძენისა, შევაკეთებინე რვაჯერ. აქედან: ოთხჯერ სახელოსნოში, 4-ჯერ — ბინაზე. რვაჯერ შეკეთების შემდეგ ამჟამადაც ტელევიზორი არ მუშაობს ნორმალურად, რაც შესაძლოა აიხსნებოდეს ან ტელეატელიეს ტელემექანიკოსთა და მთავარი ინჟინრის უცოდინარობით, ანდა უბრალოდ ბოროტებით...“

ვინ მოთვლის რამდენი ასეთი საყვედური არის გამოთქმული ტელეატელიეს მიმართ, მაგრამ თქვენ, როგორც მზრუნველი დირექტორი, ტექნიკოსების ცუდი მუშაობით გამოწვეულ საყ

ვედურებს ყურად არ იღებთ, უხარისხო შემკეთებლებს დირექტორულ ფრთებს აფარებთ...

აღნიშნული მიზეზების წყალობით ატელიეს მიერ შეკეთებული ზოგიერთ ტელევიზორში კატა ლომს ჰგავს, ლომი მოზვევს, თავი ფოცხვევს, ხოლო ტელევიზორის ეკრანი კი ლობეს...

რადგან თქვენი ხელოსნების მუშაობით ტანჯული საზოგადოების რიცხვმა ამ ბოლო დროს ასტრონომიულ ციფრს მიღწია, ჩემი წინადადება იქნება ტელეატელიეში გახსნათ კლუბი ყველა იმ ტანჯული ტელემაყურებლების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ყოველ საღამოს ტელეატელიეს ლანძღვასა და ძაგებაში არიან. ამ წინადადებით მრავ

ვალ მოქალაქეს დაუმზვიდდება ნერვები და თქვენს ხელოსნებსაც მოაკლდება ის ყოველდღიური შრომა, რომლის უმეტესი დასასრული ტელეატელიეში საჩივრის წიგნში ჩაწერით მთავრდება.

კიდევ მრავალი რამის მოწერა მინდოდა, საყვარელო რაფაელ, მაგრამ გადაწყვიტე დღეის შემდეგ საკუთარი თვალი ვადევნო თქვენს ყოველდღიურ საქმიანობას და მეგობრული ვალი მოვიხადო თქვენი დირექტორული მოვალეობის წინაშე.

ამიტომაც მიგულებთ მუდამ თქვენთან.
თქვენი ნიანგი

ნან. ზ. წერეთლისა.



— კაცო, რა არის, რომ ამ ბოლო დროს მართა ხულ ჩხუბობს; მთელი მეზობლები მოიმდურა.
— ალბათ ტელევიზორის ყიფვას აპირებს.

ერთი საათი სკოლის შესახებ სხოვრიბიდან

სიცხეა მოსაცდელ დარბაზში. ტელეფონისტი ზანტად იძახებს აბონენტს და ვილაც ბედნიერი ყურმილზე ეკიდება. მომლოდინეთა უმეტესობა მაკაყცობა.

«შენ ამ პაპანაქებაში ურახუნე თავი საანგარიშო ჩოთქს, რომ იქ შენს ქალბატონს ჩიტის რძე არ მოაკლდეს».

ამას ფიქრობს ბულალტერი სევასტი მანაგაძე და კეფაზე ცხვირსახოცს იტყაბუნებს.

უცებ ანელებს ნაბიჯს და ერთ ადგილს აშტერდება: მის წინ ორად გაკეცილი ხუთთუშნიანი გღია. სევასტი ანელებს ნაბიჯს და ფული ფეხქვეშ ექცევა. «ჰა? ეს რა სასწაულია შენს თავს? დღე და მოსწრება ფულის კარგვაში ხარ და ახლა რა ღმერთი გაგიწყრა? ოინს ხომ არაფერს გიწყობენ».

დარბაზს მოავლო თვალი. ყველა თავისი გაჭირვებით იყო გართული...

გაუბედავად მოიკაკვა. წინდის ყელს დაუწყო ქაჩვა. შემდეგ ფეხსაცმლის ზონარზე გადავიდა, იქიდან ლანჩის ქვეშ შეაპარა ხელი და ხუთთუშნიანი კალმანივით გამოათრია.

«ნეტა ვისია ეს ოხერი? თუ ვინმე გადამყიდველის ან არტელის კომბინატორისაა, ჯანდაბას მისი თავი».

«მაგრამ ვაითუ ვინმე გაჭირვებულმა დაკარგა? სად მიხვალ მაშინ, ხომ გიწია ცოდვამ?»

«ავდგები და გამოვაცხადებ:—ამხანაგებო, ნაპოვანია ასეთი და ასეთი ხუთთუშნიანი!»

მაგრამ იმწამსვე უარყო მონაფიქრი:

«პატრონი რომ აქ იყოს, ამდენხანს ატეხდა წრიალს. რომ ადგეს ვინმე სინდისგარეცხილი და

თქვას ჩემიო, რას შვრები მაშინ? ფრთხილად, სევასტი, თავი არ გაიდურაქო!»

ვილაცამ ჯიბეში დაიწყო ფოთიალი. სევასტის უნდოდა წამომხტარიყო: «ა, ბატონო, რასაც თქვენ ეძებთ, აგერაა», მაგრამ უცნობა ცხვირსახოცი ამოიღო და ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

— მანაგაძე, მეხუთეში!

სევასტი გამოერკვა და ჯიხურისკენ გალასლასდა. რას ლაპარაკობდა, აღარ ახსოვს. ცოლმა ხელათ შენიშნა: შენ რაღაც დაბნეული ხარ, აბა, თვალეში შემომხედე, ხომ არაფერი გიშემაკნია უჩემოდო. ჯიხურიდან გამოსულს თვალი გააყოღეს.

«თუ არაფერი იციან, ასე საეჭვოდ რატომ მიუყრებენ?»

«არ მომიპარავს მიპოვანია, ახლა ჩემია»—მღეროდა ვილაცა ქუჩის შესახვევში.

უცებ მხარზე შეხება იგრძნო. კინაღამ ჩაიკეცა: რომ მობრუნდა, პირში პაპიროსგაჩრილი მუნჯი ხელების მოძრაობით მოკიდებას თხოვდა...

«არა, ეს ფული ხეირს არ დამაყრის. თუ ასე



მაკანკალა ყოველ წუთს, ჩემი დამემართება».

ფიქრში გართული სხვა მარშრუტის ტროლეიბუსზე ასულიყო: ხალხი უხეშად გაარღვია და უკანა ბაქნიდან გადმოეშვა.

— მოქალაქე, საბუთი!—გამოეჭიმა მილიციელი.

სევასტიმ ხუთთუშნიანი შეაჩეჩა.

მილიციელი გააოცა მოულოდნელმა ქცევამ და ჯარიმაზე ხელი აიღო.

— რას ლაპარაკობ, ჩამოვხტი, დამაჯარიმე! მაშინ მოისვენა, როცა ხელში ჯარიმის ქვითარი და 35 მანეთი მიაჩეჩეს.

ტაქსი მცხეთის ქუჩაზე გააჩერებინა. მრიცხველს 9 მანეთის ჩამოყრა მოესწრო. მძღოლს 25-მანეთიანი გადაუფრიალა. ეს უკანასკნელი არც იმდენად უსინდისო აღმოჩნდა, რომ ხურდა არ შეეძლია.

— თავი არ გამალახვიო, ბიძია! სანამ ამ ხასიათზე ვარ, აიღე და მოუსვი ბაყაყური!

ეზოში შეაბიჯა. შესასვლელთან მეეზოვე ისმაილა ცოცხის ტარს თლიდა. სევასტიმ დარჩენილი თუშნიანი ესროლა.

— აბა, ისმაილ, ჩემს სახელზე ერთი არაყი ცეცხლე!

კიბეს შეუყვია.

«რა ეგონათ აბა. ჩემი გაპამპულეა უნდოდათ? ვერ მივართვი!»

«ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმ საცოდავს რა, ვინც დაკარგა? რა და, ფულს მაგრად მოუჭიროს ხელი. ხომ ვერ გადავყვები ახლა იმის ხუთ თუმანს? უცებ რაღაც აზრმა გაჰკრა. ეცა მარჯვენა ჯიბეს და ადგილზე გაშეშდა:

არსად ჩანდა ორადგაკეცილი დედისერთა ხუთთუშნიანი...

საქართველო
ნიანგს!

საყვარლო ნიანგო! სწორედ ამ ადგილზე 1959 წლის 25 მაისს ორმოში გადამივარდა და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმა ჩემი სამი წლის სახე-დარი ჩოჩორით, მისი ცოდვა ედოს კისერზე თბილგაზმუნის მმართველს ჩიტაიშვილს, რომელმაც ამ რამდენიმე თვის წინ მთელი ავჭალის გზატკეცილის მარცხენა მხარე ერთ გრძელ ორმოდ აქცია და შემდეგ გაზისათვის საჭირო მიღების ჩაწყობა-ამოწყობის თამაშობა დაიწყო; საცოდავი, იქნებ ცოცხალი დარჩენილიყო, გზატკეცილის მარჯვენა მხარე რომ მაინც ყოფილიყო წესიერ მდგომარეობაში, ან და ელექტრონათურებით განათებული. მაგრამ ერთიც და მეორეც გზატკეცილისათვის უცხო ხილია.

მე მადანაშაულებენ, ვირის ურემს ნათურები არა ჰქონდაო. კარგი და პატიოსანი. ყველა იმ ორმოებში გადავარდნილ მოტოციკლეტებს და მანქანებს რომ ქოჩრამდე დატენილი აკუმულატორები ედგათ, იმათ რაღა პასუხს აძლევენ!

სახედრის ფასის ანაზღაურება სამართლიან მოთხოვნილებად მიმაჩნია, მხოლოდ ღირებულება თბილგაზმუნის მმართველს უნდა მოვთხოვო, თუ თბილისის საბჭოს, ეს ვერ გავარკვიე. გთხოვ, შენ მაინც გამარკვიო, საყვარლო ნიანგო... გიგზავნით ფოტოსურათს. მდინარე არ გეგონოთ, ავჭალის გზატკეცილის მარცხენა მხარეზე გაყვანილი არხია.

ვალეკო ჩავარდნილი



59-417

ქართული
ბიბლიოთეკა



ქართული საბჭოთაო სსრ-ის
ბიბლიოთეკა
417 59
17/11